სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

28.03.2016, № 42

თბილისი

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 9 მარტის № 22 ბრძანების თანახმად, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების სრულყოფილად ჩატარების მიზნით,

ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ წარდგენილი და მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასების მიზნით შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები (დანართი 1).
2. კომისიების თავმჯდომარეებად დაინიშნონ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.
3. დამტკიცდეს კომისიის რეგლამენტი (დანართი 2).
3. კომისიებმა უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება და მათი სრულყოფის წინადადებების შემუშავება უნივერსიტეტში თვითშეფასების მომზადების პროცესის ფარგლებში.
4. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს კომისიების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი.
5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის № 25 ბრძანება.
6. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი
გ. ძიძიგური

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

სტუ-ს რექტორის 2016 წლის
28.03.2016№ 42 ბრძანების
დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შემადგენლობები

სამშენებლო ფაკულტეტი

1	მარინა ჯავახიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	ირმა ღარიბაშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი
3	ნუგზარ მურღულია	-	პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
4	იური ქადარია	-	პროფესორი, დეკანის მოადგილე
5	ირმა ინაშვილი	-	ასოცირებული პროფესორი
6	რამაზ ჟღენტი	-	ასოცირებული პროფესორი
7	ანა გოგბერაშვილი	-	მოწვეული პროფესორი
8	შალვა დოლიძე	-	სტუდენტი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

1	ნიკოლოზ აბზიანიძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	თენგიზ ჯიშკარიანი	-	პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	გიორგი გიგინეიშვილი	-	პროფესორი
4	ივანე ზურაბიშვილი	-	პროფესორი
5	გედევან მურჯიკნელი	-	სტუდენტი

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

1	შალვა კელეპტრიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	ნანი ხუნდაძე	-	პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	თეიმურაზ კუნჭულია	-	პროფესორი, დეკანის მოადგილე
4	გიორგი დურგლიშვილი	-	პროფესორი
5	ნოდარ ფოფორაძე	-	პროფესორი
6	ალექსანდრე ლომთაძე	-	სტუდენტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

1	მამუკა მაისურაძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	ქეთევან-ბაციკაძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, პროფესორი
3	მარინა კაპანაძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	თამარ ლოლაძე	-	პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი

5	მაია მშვილდაძე	-	პროფესორი, დეკანის მოადგილე
6	დიმიტრი ერისთავი	-	პროფესორი
7	მალხაზ რაზმაძე	-	პროფესორი
8	ბორის გოგიჩაშვილი	-	ასოცირებული პროფესორი
9	სალომე გვაზავა	-	სტუდენტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

1	მანანა მოისწრაფიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	გიორგი ჯაფარიძე	-	პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	ხვიჩა ირემაშვილი	-	პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
4	ვარლამ ლეკიაშვილი	-	პროფესორი
5	თამაზ მჭედლიშვილი	-	პროფესორი
6	ნია ნათბილაძე	-	პროფესორი
7	ნუგზარ რურუა	-	პროფესორი
8	თინათინ გორეზიანი	-	სტუდენტი
9	მიხეილ გრიგორაშვილი	-	სტუდენტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

1	ნინო ხაბეიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	გია ნაცვლიშვილი	-	პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
3	ნინო იმნაძე	-	პროფესორი
4	ვახტანგ ფირცხალავა	-	პროფესორი
5	თინათინ ჩიგოგიძე	-	ასოცირებული პროფესორი
6	მარი მშვილდაძე	-	სტუდენტი

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

1	ივანე ჯაგოდნიშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	ციალა გლოველი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი
3	ეკატერინე შაკიაშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასისტენტ-პროფესორი
4	ლილი ხარჩილავა	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5	გუგული ყურაშვილი	-	პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
6	ჟანეტა ვარძელაშვილი	-	პროფესორი
7	გურამ ჯოლია	-	პროფესორი
8	მაია ამირგულაშვილი	-	ასოცირებული პროფესორი
9	სალომე გუმბერიძე	-	სტუდენტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

1	ზურაბ ბაიაშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	ია ირემაძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი
3	ვალერი ტაკაშვილი	-	პროგრამების კურატორი, ასოცირებული პროფესორი
4	აკაკი გიგინეიშვილი	-	პროფესორი
5	შოთა ზაზაშვილი	-	პროფესორი
6	მზია კიკნაძე	-	პროფესორი
7	ქეთევან კოტრიკაძე	-	პროფესორი
8	გიორგი კუჭავა	-	სტუდენტი

დიზაინის საერთაშორისო სკოლა

1	გიორგი ხატიაშვილი	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	ნიკოლოზ შავიშვილი	-	პროგრამების კურატორი, პროფესორი, დეკანი
3	მალხაზ რაზმაძე	-	პროფესორი, დეკანის მოადგილე
4	ილია ლიჩელი	-	სტუდენტი
5	გიორგი ჩახვაშვილი	-	სტუდენტი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

1	მარიამ ხომასურიძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე
2	ირაკლი ყრუაშვილი	-	პროგრამების კურატორი, პროფესორი
3	ნინო გაგელიძე	-	პროფესორი
4	დავით გუბელაძე	-	პროფესორი
5	ნინო გაგნიძე	-	სტუდენტი

სტუ-ს რექტორის 2016 წლის
28.03.2016 № 42 ბრძანების
დანართი 2

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის რეგლამენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია (შემდგომში „კომისია“) იქმნება რექტორის მიერ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

კომისიის მიზანია ფაკულტეტის მიერ წარდგენილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება. შეფასების პერიოდულობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

კომისიის თავმჯდომარეა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

კომისიის წევრები, როგორც წესი, უნდა იყვნენ პროგრამების კურატორი, ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი აკადემიური დეპარტამენტების პროფესორები ან ასოცირებული პროფესორები და სტუდენტები. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.

კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას. კომისია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები მოითხოვოს ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი აკადემიური დეპარტამენტებისა და პროგრამების ხელმძღვანელებისაგან.

შემოწმების შედეგების, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის შესახებ კომისია გადაწყვეტილებებს იღებს სხდომებზე ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას ატარებს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული წევრი. გადაწყვეტილება ფორმდება სათანადო ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რაზეც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული ოქმი მიაწოდოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ორი დღის ვადაში.

სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის 3/4.

შემოწმების პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ კომისიის თავმჯდომარე (ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი) წერილობით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. მიღებული ზომების ან რეაგირებაზე უარის შესახებ კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.